ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119261492**

თარიღი:**29/05/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ნოდარ გაბაძე - წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მე-2 რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

ბ) მარიანა ცინდელიანი - წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მე-2 რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

2. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თამარი ცქიტიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკონკურსო
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი